ლენტეხის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს სოციალურ საკითხთა

კომისიის სხდომა

N 08

24.11.2025 წ.

დ. ლენტეხი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სოც. საკითხთა კომისიის სხდომა N- 08

დ. ლენტეხი 24 ნოემბერი.2025წ.

სხდომის დღის წესრიგი

1. ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოც. საკითხთა კომისიის 2026 წლის სამუშაო გეგმის შემუშავება.

   /მომხს: კომისიის თავმჯდომარე ც. ლიპარტელიანი/

2. სპორტის მინისტრის შალვა გოგოლაძის 12/11/2025 წლის N-00061657 წერილის განხილვა და შესაბამისი წახალისების ფორმის შემუშავება.

   /მომხს: კომისიის თავმჯდომარე ც. ლიპარტელიანი/

3. სხვადასხვა.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სოც. საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: /ც. ლიპარტელიანი/

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სოციალურ საკითხთა კომისიის

სხდომა N 08 24. 11. 2025 წ.

დასწრების ფურცელი :

1. ცირა ლიპარტელიანი : კომისიის თავმჯდომარე
2. მარეხი ონიანი : კომისიის წევრი
3. ზურაბ ონიანი : კომისიის წევრი
4. გოგი ონიანი : კომისიის წევრი
5. დალი ტვილდიანი : კომისიის წევრი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სოციალურ საკითხთა კომისიის

თავმჯდომარე : /ც. ლიპარტელიანი/

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სოციალური კომისიის სხდომა

ოქმი N 08

დ. ლენტეხი 24.11 2025 წ.

მ/წ. 24 ნოემბერს დღის 11 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ : სოციალური კომისიის თავმჯდომარე ცირა ლიპარტელიანი, კომისიის წევრი ზურაბ ონიანი,კომისიის წევრი დალი ტვილდიანი,საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ელდარ ლიპარტელიანი, ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე მურმან ტვილდიანი. სხდომის მდივანი ესმა მუკბანიანი.

კომისიის თავმჯდომარემ ც.ლიპარტელიანმა კომისიას გააცნო დღის წესრიგი შემდეგი საკითხებით:

1. . ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოც. საკითხთა კომისიის 2026 წლის სამუშაო გეგმის შემუშავება.

/მომხს: კომისის თავმჯდომარე ც. ლიპარტელიანი/

2.სპორტის მინისტრის შალვა გოგოლაძის 12/11/2025 წლის N-00061657 წერილის

განხილვა და შესაბამისი წახალისების ფორმის შემუშავება .

/მომხს:კომისის თავმჯდომარე ც.ლიპარტელიანი/

3.სხვადასხვა.

დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოთქმულა.

მოისმინეს: სოც. საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ცირა ლიპარტელიანმა კომისიას გააცნო სოც. საკითხთა კომისიის წლიური სამუშაო გეგმის პროექტი.

პროექტში ერთერთი საკითხი არის სოციალური დახმარების გაცემის წესის განხილვა-დამტკიცება. ამ საკითხთან დაკავშირებით ზ. ონიანმა გამოთქვა აზრი რომ, ლენტეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის დახმარების მისაღებად დაკმაყოფილდეს სოც. სამსახური, ადგილობრივი სამედიცინო დაწესებულების ექიმთა მიერ გაცემული ფორმა 100-ით. მურმან ტვილდიანმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ავადმყოფს ქალაქში უწევს წასვლა ფორმა 100-ის მისაღებად, გაჭირვებულს ადგილზე უნდა დახმარება და დახმარების გაწევა.

სოც. საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ქალბატონმა ც. ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ თუკი შესაძლებელია საკრებულოს მიერ დამტკიცებული სოციალური დახმარების გაცემის წესში მოხდეს ფორმა 100-ის ცნობად მიღება, რომელიც გაცემულია ადგილობრივი სამედიცინო დაწესებულებების ექიმების მიერ; თუ ეს ავადმყოფები არიან ქრონიკული დაავადებებით

დაავადებულნი. მოხდეს შეხვედრა სოც. სამსახურთან და საკრებულოს მიერ დამტკიცებულ სოციალური დახმარების წესში შევიდეს ცვლილება და შეიცვალოს სოციალურის გაცემის წესი.

სოც. საკითხთა კომისიის წევრმა დალი ტვილდიანმა გამოთქვა მოსაზრება, რომ სოფელში სადაც ორი ან მეტი ბავშვია, როგორმე მოხდეს საბავშვო ბაღების შენარჩუნება, რაც ასე აუცილებელია სოფლის შენაჩუნებისათვის; აუცილებელია გაუმჯობესდეს ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურა, რათა უკეთ წარიმართოს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესი. სხდომაზე განხილულ იქნა სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის წერილი 12/11/2025 წლია N-00061657 სპორტის სფეროში წოდებების დამტკიცების შესახებ.

სპორტის სფეროში დაწესებულია შემდეგი საპატიო წოდებები:

ა. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი;

ბ. საქართველოს საპატიო მსაჯი;

გ. საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე;

დ. საქართველოს სპორტის საერთაშორისო/ საერთაშორის/ მსოფლიო ოსტატი;

ე. საქართველოს სპორტის რაინდი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის 2026 წლის სამუშაო გეგმა; შემდეგ კომისიის სხდომაზე მოსმენილ იქნეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის ანგარიში - რაოინში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის შესახებ; სპორტის სფეროში წოდებების მინიჭების შესახებ იმსჯელეს და გადაწყვიტეს მერიის შესაბამის სმსახურთან ერთად განხილულ იქნეს საკითხი და შესაძლებლობის და უფლებების მიხედვით შემუშავდეს გარკვეული სახის წახალისების ფორმები.

სხდომა დასრულდა 12 საათზე.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სოციალური კომისიის

თავმჯდომარე: / ც.ლიპარტელიანი/